საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№182/7

2022 წელი, 26 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: დავით სონღულაშვილის, ბეჟან წაქაძის, ეკა სეფაშვილის, ვასილ ჩიგოგიძის, გოჩა ენუქიძის, გელა სამხარაულის, რამინა ბერაძის და ირმა ზავრადაშვილის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: დავით სონღულაშვილის, ბეჟან წაქაძის, ეკა სეფაშვილის, ვასილ ჩიგოგიძის, გოჩა ენუქიძის, გელა სამხარაულის, რამინა ბერაძის და ირმა ზავრადაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (N07-3/245; 21.09.2022) საქართველოს კანონის პროექტები განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტები პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი